ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 49
27/11/2015

49-08-4-201511271630

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში (სსმ, 28.07.2014 წ. სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.114.016200) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მესამე პუნქტის ,,ა.თ.“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,ა.თ) ამტკიცებს გამგების შინაგანაწესს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს, აგრეთვე გამგეობის მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;“

მუხლი 2.

დადგილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მესამე პუნქტის ,,გ.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,გ.ვ) არაუგვიანეს თებერვლისა საკრებულოს უგზავნის შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს, ახორციელებს შესყიდვებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;“

მუხლი 3.

დადგილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მესამე პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,დ.ბ) საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს: შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, ამ კანონის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრების შესახებ, მეწარმე იურიდიული პირის წილის/აქციების შეძენის შესახებ;“

მუხლი 4.

დადგილებით დამტკიცებული დებულების მე-18 მუხლის მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,5 დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება გამგებლის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით”.

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა